საქართველო, თბილისი
12.12.2023

ხელშეკრულება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ
№01-12/12/2023

მუხლი 1. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) უფლების დამთმობი:

შპს „დემარკ“ (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 205196759; რეგისტრაციის თარიღი: 09/03/2007)

ბ) უფლების შემძენი:

შპს „კუმისი რეზიდენს“ (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578186; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 08/05/2019).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უძრავი ქონება: უძრავი ქონება, შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით - მისამართი: ქალაქი თბილისი, კუმისის ქუჩა #19; უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.16.06.057.058.
ბ) ავტორი: ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი:

ვინაიდან:

- საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.
- საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით.
- საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, უნდა დაიდოს წერილობით.

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე: უფლების გადამცემი (დამთმობი), შპს „კუმისი რეზიდენს“, როგორც უფლების შემძენს, საქართველოს კანონმდებლობისა და კანონის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, სრულად უთმობს მის საავტორო და მასთან დაკავშირებულ ყველა უფლებას, რომელიც გააჩნია არქიტექტურულ ნაწარმოებ(ებ)ზე, რომლებიც განთავსებულია/უნდა განთავსდეს მიწაზე, შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით (მათ შორის, შენობა-ნაგებობების კონსტრუქციულ პროექტ(ებ)თან მიმართებით):

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.16.06.057.058. მისამ. რთი: ქალაქი თბილისი, კუმისის ქუჩა #19.

2. უფლების გადამცემი პირი აცხადებს, რომ უფლების მიმღებს მიმართ, არანაირი ფინანსური მოთხოვნა არ გააჩნია.

3. უფლების გადამცემი პირი ასევე აცხადებს, რომ მას უფლების მიმღებს მიმართ, არანაირი სხვა სახის, მოთხოვნა/პრეტენზია არ გააჩნია.

4. დასკვნითი დებულებების შესახებ

წინამდებარე აქტით დადგენილი ყველა უფლება და ვალდებულება უცვლელად გადადის მხარეთა უფლებამონაცვლეებზე.

მხარეთა ხელმოწერები

ა) უფლების დამთმობი:

შპს „დემარკ“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 205196759

დირექტორი - ვლადიმერ აბრამიშვილი

ბ) უფლების შემძენი

შპს „კუმისი რეზიდენს“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578186

დირექტორი - გიორგი შარაშიძე

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის თერთმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართეს ბატონმა **ვლადიმერ აბრამიშვილმა** და ბატონმა **გიორგი შარაშიძემ.**

ბატონმა ვლადიმერ აბრამიშვილმა განაცხადა, რომ არის **უფლების დამთმობის, შპს „დემარკ“–ის, საიდენტიფიკაციო №205196759,** დირექტორი.

ბატონმა გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ არის **უფლების შემძენის, შპს „კუმისი რეზიდენს“–ის, საიდენტიფიკაციო №404578186,** დირექტორი.

წარმოადგინეს მათ მიერ **2023 წლის 12 დეკემბერს მომზადებული ხელშეკრულება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ №01–12/12/2023,** ორ გვერდზე, ერთ ცალად და მოითხოვეს ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს ბატონმა **ვლადიმერ აბრამიშვილმა,** დაბადებულმა 1981 წლის 14 სექტემბერს თბილისში, პირადი №01011025815, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, მიხეილ ასათიანის ქუჩა №10, ბინა 62 და ბატონმა **გიორგი შარაშიძემ,** დაბადებულმა 1986 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, პირადი №01008019603, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №25, ბინა 3.

მე მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით, ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ბატონმა ვლადიმერ აბრამიშვილმა და ბატონმა გიორგი შარაშიძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მათ მიერ წარმოდგენილ საავტორო და მასთან დაკავშირებულ უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ ხელშეკრულებაზე. ვამოწმებ ორი ხელმოწერის სინამდვილეს, ორ გვერდზე, ერთ ცალად.

გადახდილია 23,88 ლარი - აქედან: საზღაური 16,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 მუხლის საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 2,88 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240029159
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.01.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49742389410824

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი
12.12.2023

თანხმობა საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ

წინამდებარე თანხმობის საფუძველზე, ფიზიკური პირი - ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815, შემდგომში წოდებული როგორც უფლების დამთმობი, საქართველოს კანონმდებლობისა და კანონის თანახმად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, შპს „კუმისი რეზიდენს“-ს (სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578186; რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 08/05/2019), როგორც უფლების მიმღებს, სრულად უთმობს მის საავტორო/ინტელექტუალური საკუთრების და მომიჯნავე უფლებებს (ნებისმიერი სახის უფლებას, რომელიც მათ შორის, შეიძლება არ იყოს მითითებული ან გარიგებაში), რომელიც მას გააჩნია უძრავ ქონებასთან მიმართებით, შემდეგი საკადასტრო კოდით - 01.16.06.057.058, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, კუმისის ქუჩა #19;

მათ შორის (და არა მხოლოდ), უფლების დამთმობი უფლების მიმღების სასარგებლოდ თმობს ნებისმიერ უფლებას რაც გააჩნია უძრავ ქონებასთან მიმართებით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით და დაკავშირებულია სამშენებლო პროექტთან, მშენებლობის ნებართვასთან და მასთან დაკავშირებულ საავტორო/ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან (მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ უფლებას), მისი როგორც (მთავარი) არქიტექტორის კომპეტენციის ნაწილში.

წინამდებარე თანხმობა ატარებს უპირობო და გამოუთხოვად სამართლებრივ ბუნებას.
ხოლო უფლების დამთმობს უფლების მიმღების მიმართ, არანაირი, მათ შორის არავითარი ფინანსური პრეტენზია არ გააჩნია.

უფლების დამთმობი:

ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის თერთმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **ვლადიმერ აბრამიშვილმა.**

მან წარმოადგინა **2023 წლის 12 დეკემბერს მომზადებული თანხმობა საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ,** ერთ გვერდზე, ერთ ცალად და მოითხოვა თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **ვლადიმერ აბრამიშვილმა,** დაბადებულმა 1981 წლის 14 სექტემბერს თბილისში, პირადი №01011025815, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, მიხეილ ასათიანის ქუჩა №10, ბინა 62.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე თანხმობაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ბატონმა ვლადიმერ აბრამიშვილმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი თანხმობაზე. ვამოწმებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, ერთ ცალად.

გადახდილია 12,08 ლარი - აქედან: საზღაური 6,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 მუხლის საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 1,08 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166–ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240028617
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.01.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	87520226837024

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18